სახალხო გაზეთი

№ 779 ხუთშაბათი, 20 ქრისტიშობისთვე 1912 წ. № 779

განცხადების ფასი ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, [illegible]—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისოვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონ № 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის

წელ, წადი მეოთხე

„სახალხო გაზეთზე“

წელიწადი მეოთხე

ყოველდღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება „სურათებიანი დამატება“ (კვირაობით).

პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ წიგნს

1) უცხოეთის მწერლები. (400 გვ.) 2) ქართველი მწერლები. (500 გვ.)

გაზეთის ფასი ყველა პრემიებით წელიწადში 8 მ. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ., ერთი თვით 75 კ.

იმ ხელისმომწერმა, რომელიც **ორივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური**. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის მოწერის პირობები: 1) წლიურ ხელისმომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ., 1 ენკენისთვემდე 1 მ. 50 კ. 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა. **ხელის მოწერა გამართულია:** 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილ. 9—3 ს.-მდე და საღ. 5—7 ს.-მდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 ქრისტიშობისთვიდან კი ღია იქნება: დილ. 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღ. 3 ს. 2) ქ. შორის წერა-კითხვ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავად აზნაურთა ქარვასლა. 3) ფოსტით. Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо Газети“, поч. ящ. 190.

ქრისტიშობისთვის 19-ს, დილით, ტფილისში, გარდაიცვალა აზნაური

კონსტანტინე დიმიტრის ძე ეგაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვლებულის მეუღლე **ნინო,** ასულნი: **ნადეჟდა, ლიუბოვ, სოფიო, თამარ** და **ევგენია,** ვაჟი **მიხეილ** და სიძეები: **ილ. ფერაძე** და **სერ. გორგაძე.** პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 ს., საკუთარ სახლში (არაგვის ქუჩა № 8).

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 878

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

საბენეფისო წარმოდგენა

ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, 1912 წ. ქართ. დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ვალ. ლევ. გუნიას საბენეფისოდ

შექსპირის ტრაგედია

მეფე ლირი

5 მოქ. და 10 სურათ. თარგმანი თ-დ ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისა.

ლირის როლს შეასრულებს მობენეფისე.

ახალი დეკორაციები და ახალი ტანისამოსი.

მონაწილეობს მთელი დასი. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი საბენეფისოა. რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**

ქართ. დრამატ. საზოგად. ადმინისტრაცია. 1623.

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზი.

პარასკევს, ოც-და-ერთ დეკემბერს,

პირველი ლექცია 1 სახ. სათათბ. თავმჯდომარის ამხანაგად ნამყოფ პეტერ. ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის **პროფესორ**

ნიკოლოზ ანდრიას ძე გრედესკულისა:

„ეროვნული საკითხი დასავლეთსა და რუსეთში“.

დასაწყ. საღ. 8 ს.

შაბათს, 22 ქრისტეშ., **გრედესკული ქუთაისში** (ქალაქის თეატრში), წაიკითხავს ამავე ლექციას. კვირას, 23 ქრისტ., **გრედესკულის უკანასკნელი ლექცია ტფილისში: „ინტელიგენციის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.** ბილეთ. იყიდება არტ. საზ. კლუბის შვეიცართან (შესავალი გოლ. პროსპ.-დან, ქიკარიდან), დილ. 10—2 ს. საღ. 5—8 ს. 1645

სახალხო **ავლაბრის სახალხო თეატრი** **წარმ. № 19.**

კვირას, 23 ქრისტეშ.

პირველი გასტროლი ქართული თეატრის დამსახურებულ მსახიობთა

ქ. ეფემია მესხისა და **დ. აწყურელისა**

ავლაბ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ მსახიობ **ი. ივანიძის** მონაწ. წარმ. იქნება:

ლალატი,

დრამა-ლეგენდა 5 მოქ. სუმბათაშვილისა, თარგ. გ. ყიფშიძისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი **ეფ. მესხი,** მარგველაშვილი, დავითაშვილი, სააკოვი, ქურული, ბ-ნნი. **აწყურელი,** ივანიძე, შანშიაშვილი, თავდგირიძე, კილოსანიძე, ქიზიყელი, სულთანიშვილი, სალაყაია, ძაისურაძე და სხვ.

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილების ფასები 0—50 კ.

ანტრაქტებში დაუკრავს სიმებ. ორკესტრი ბ. ბეთანიშვილის ხელმძღვანელობით

მორიგი გამგე **რ. ჯიბლაძე.** რეჟისორი **ი. ივანიძე.**

ანონსი: კვირას, 30 ქრისტეშ., კოტე მესხის მონაწ. წარ. იქნება ,,ხალხის მტერი''. 1636

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე.

წელიწადი მეცხრე.

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი

მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის ჰარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან ◆ ,,ბიძია თომას ქოხი'', ◆** სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი ,,ნაკადული'' მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლ.-დ. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—,,ნაკადულის'' რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

1159 რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**



?

1531.

ბათუმში, შავი ზღვის ნაპირზე

საზოგადოება

„კახეთი“-სა

1912 წლის 12 ნოემბრიდან.

საზოგადოება ,,კახეთი''-ს გამგეობა აუწყებს ამას ბბ. მყიდველებს, ქ. ბათუმში, ფოთში, სოხუმში, თეოდოსიაში, გაგრაში, ქობულეთში და სხვა, შავი ზღვის პირზე გაშენებულ ქალაქებსა და დ ბებში, და სთხოვს მათ ღვინის დასაკვეთად მიჰმართონ **ბათუმის განყოფილებას.**

იყიდება მხოლოდ ნამდვილი კახური ღვინო საზოგადოების წევრთა ვენახებისა ბოთლი 30 კ.-დან 1 მანეთამდე.

მუდმივ და ერთბაშად მყიდველებს იაფად უთმობენ. პრეისკურანტები უსასყიდლოდ.

მისამართი: ბათომი, ოგლობლინის ქუჩა № 18, მიხეილის ქუჩის ახლოს, ტელეფონი № 190. 1648

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მიტიცლის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები

შინაგანი სნეულებანი.	**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1
ქირურგ.-ვენერიულ. სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირბლიოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. **ე. ა. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** (სამშ. ხუთშაბ. შაბათ,) 11½ 12½.
ქალთა და სამშ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირბლოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თიკანაძე ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**ზედგენიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყელ. ყურ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კბ. და პირ. ღრ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა მანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შიდავათიანი სამსახურით. №. 1010

დოქტორი მედიცინისა

ბერლინის უნივერს.

გ. გ. მებრაბიანცი

წამლობა ჭლექისა,

ფილტვებისა, ძვლეისა, და სხვა ორგანოთა

ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 847

დღეს ნდელ ნომერთან ტფილისის ხელის მომწერნი მიიღებენ ვალერიან გუნიას საბენეფისო ფურცელს

რუსეთის საურთიერთო დამზღვევი კავშირი

დამტკიცებულია 1903 წელს—**მექარხნეთა და მეზავოდეთა.**

სრულიად გარდახდილი საპაიო თანხა 3 მილიონი მანათი.

დამზღვევი კავშირი რუსეთის იმპერიის ყველა კუთხეში აწარმოებს:

1. **ცეცხლისაგან დაზღვევას** ქარხნებისა, ზავოდებისა, საბინადრო და სხვა შენობებისა, საქონლისა და მოძრავ ქონებისას.

2. **კოლექტიური დაზღვევა** უბედურ შემთხვევათაგან ქარხანა-სამრეწველოებში მოსამსახურე პირთა და მუშებისა.

3. ყოველნაირ ცეცხლისაგან უზრუნველყოფილ შენობებისა და მოწყობილობის აგებას.

პირველ მოთხოვნილებისათანავე ვგზავნით: წესდებას, დაზღვევის პირობებს და დაზღვეულთა სიას.

კავშირის გამგეობა იმყოფება:

მოსკოვში, ფურკასოვსკის [illegible]

კავშირის განყოფილება კავკასიაში:

ბათუმისა, დაღესტნისა, ყარსისა, ყუბანისა და თერგის ოლქებში, განჯისა, ქუთაისისა, სტავროპოლისა, ჩერნომორისა, ტფილისისა და ბაქოს გუბერნიებისა და სოხუმის ოლქისათვის იმყოფება ქ. ტფილისში, სერგიევის ქუჩა სახლი № 1, მირზოევისა.

კავშირის კავკასიურ განყოფილების

1647 წარმომადგენელი **ა. ნ. მილოვი.**

ქარხნის **მარკა**

კონიაკი და ლიკორი

ს. ს. შაგრიარსკისა

ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზია

ამზადებს ქართული წიგნების ახალს

კატალოგს.

ვისაცა ჰსურს თავისი გამოცემა შეტანილ იქმნას ამ კატალოგში, ვთხოვთ გამოგზავნოს წიგნები საკომისიოდ. ცნობა მიიღება 1 იანვრამდე. 1141.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის ძალიან ახლოს დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს.** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით 1028

ნაცვალ-ვექილ. თანაშ.

გიორგი პავლეს ძე გორდეზიანი

გადავიდა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 57. 829

ექიმი

კბილისა

ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი

ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. ½ ს.

ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. ყოველ დღე საღამოს 3—4 ს.

ბოჟოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხ. შაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.

მონხე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.

უკლაბდნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. და შაბათ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვეხელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

ერმოლაევი —ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

შამაში, ქირურგ. ავადმყ ყ დღ., კვ. გარ და 1½ 2½ ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. 366.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—ს., საღამოს 6—7 ს., გაშიხვა და გადაღებ. რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 322

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **გასხერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 530

ექიმი ი. კ. აბაკელია იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი ს. ი. გძელიშვილი იღებს ავადმყოფებს შინაგნეულ და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. **დიდუბე,** საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

ქართული პრესა

ჩვენს იდეიურ მოწინააღმდეგებს სრულიად აერიათ გზა-კვალი: დაავიწყდათ თავიანთი პროგრამაც, რომელიც განსაზღვრულ მიზნებს უსახავს, დაავიწყდათ საზოგადო მიზნები მთელი ოპოზიციისა. მათ მხოლოდ დეპუტატი გელოვანი გაიჩხირათ ყელში, ვერ ძოუნელებიათ. აი, მაგალითად, რასა სწერს „მერცხალი“:

„ამას წინად ტფილისის გაზეთებში განსაკუთრებელი დეპეშით გადმოცემული ცნობა იყო დაბეჭდილი: დეპ. გელოვანის თაოსნობით კავკასიის დეპუტატებს შეკითხვა შეაქვთ სახელმწიფო სათათბიროში, რატომ არაფერი სთქვა პრემიერ-მინისტრმა თავის დეკლარაციაში კავკასიაში შემოსაღებ რეფორმებზეო“.

ამ ცნობაში ეჭვი შეაქვს „მერცხალს“ და სწერს:

„არსებითად შეკითხვა ეკუთვნის მათ, ვინც მას პირველად აწერს ხელს და ვინც ამიტომ იღებს ხმას მის დასასაბუთებლად: ასეთი დასაბუთება ამ შემთხვევაში მოგვცა კ. ჩხეიძემ. ცხადია შეკითხვაც მისი დ მათ თანამოაზრეთა საქმეა“.

კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ეს მართალი არ არის. შეკითხვას პირველად ხელი უწერია დეპ. გელოვანს. წაიკითხეთ სტენოგრაფიული ანგარიში და დარწმუნდებით. დეპ. გელოვანმა არ ილაპარაკა მხოლოდ იმიტომ რომ აღუთქვეს, უკამათოდ მივიღებთ შეკითხვასაო. ასეც მოხდა. შეკითხვა უკამათოდ მიიღეს. თუ ჩხეიძემ, მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვაზე ხელის მოწერა არ მოისურვა, მაინც ილაპარაკა, ეს ჩვეულებრივი ხრიკია. ჩხეიძე რომ გულწრფელი ყოფილიყო, შეკითხვასაც მოაწერდა ხელსა. მაშ, რაც დასჭირდა „მერცხალს“ ცხადი ტყუილის თქმა? ესეც, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ხრიკია.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ქალაქის გამგეობის** კრებები დღეის შემდეგ მოხდება: სამშაბათობით, საღამოს 8 საათიდან, ხუთშაბათობით და შაბათობით ნაშუადღევის 1 ნახ. საათიდან. სამშაბათობით გამგეობა გადაარჩევს ყველა განყოფილებიდან მიღებულ მოხსენებებს. ხუთშაბათობით გაარჩევს მეორე და მესამე განყოფილების მოხსენებებს და საქმეებს ხოლო შაბათობით პირველ და მეოთხე განყოფილებებისას.

◆ **ტრამვაის დაჯარიმება.** ქალაქის გამგეობამ ტრამვაის დირექცია კიდევ 1,025 მან. დააჯარიმა, რადგანაც 12-დან 24 ნოემბრამდე ტრამვაის ლიანდაგები არ დაუგვავინებია.

◆ **სასანიტარო დათვალიერება.** 1-დან 15 ქრისტეშობისთვემდე ქალაქის სანიტარებმა დაათვალიერეს: ოლგისა, ყორღანოვისა, სლეპცოვისა, იოანნე ღვთისმეტყველისა, წყნეთისა, მოსკოვისა და ბელინსკის ქუჩები, ვერის დაღმართი, ტკვრის ნაპირები, ხევები და ცარიელი ადგილები. ბევრგან სასანიტარო წესების დარღვევა აღმოაჩინეს და დამნაშავენი სამართალში მისცეს.

— 15 ამ თვეს მუხრანის ხიდზე და მის ახლო-მახლო მდებარე სახლების ეზოებში დიდი სიბინძურე აღმოაჩინეს და დამნაშავეთ სამართალში აძლევენ.

◆ **ტრამვაის გამოსყიდვა.** ქალაქის გამგეობის შეკითხვაზე ბელგიის უსახელო საზოგადოების გამგეობამ უპასუხა, ვადის გასვლამდე ტრამვაის გამოსყიდვაზე ლაპარაკი შეუძლებელია იმ დრომდე, ვიდრე გამგეობა დაახლოვებით მაინც არ შეიმუშავებს იმ პირობებს, რომლითაც ტრამვაის გამოსყიდვა სურსო.

◆ **ქალაქის თვითმმართველობის შენობის გათბობა.** ქალაქის საბჭოს სარევიზიო და საფინანსო კომისიისა და ქალაქის გამგეობის შეერთებულმა კრებამ დაადგინა, ქალაქის თვითმმართველობის შენობა მომავალში წყლით გაათბონ. ამ საქმის [illegible] ხარჯს ითხოვს. 10,500 მან. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეაქვთ, ხოლო დანარჩენი—1914 წლისაში. განზრახულია, აგრეთვე წყლით გაათბონ არამიანცის სახელობის საავადმყოფოს პროზექტურა. ეს საქმე 7,000 მან. ხარჯს მოითხოვს.

ჩქარის სამკურნალო დახმარების ამომჩენ სადგურის თაობაზე შეერთებული კრება ჰქონდა ქალაქის გამგეობასა და ქალაქის საბჭოს საფინანსო და სარევიზიო კომისიებს. კრების ერთი ნაწილი ამტკიცებდა, საკმარისია ქალაქმა წელიწადში 1,500 მან. აღმოუჩინოს სადგურსაო. ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა მოწინააღმდეგეთა წინადადება: სადგური გადავიდეს ქალაქის ხელში და ამის შესანახად წელიწადში 4,500 მან. გადაიდოს.

◆ მიღებულ ჩვეულებისამებრ, ამ თვის 28 საღამოთი გაიმართება **შობის ხესულით ავადმყოფთ თავშესაფარში** (კოჯრის ქ. №. 15). ამ საღამოს გაიყიდება სულით ავადმყოფთა ნამუშევარი. შესვლა შეძლება თავშესაფარის ადმინისტრაციის ნებართვით.

◆ ქართულ გიმნაზიასთან არსებულ **უფასო სასადილოს სასარგებლოდ ქ-ნმა ელენე მიხეილის ასულმა სუხადოლსკისამ** შესწირა 100 მანათი და ყოველწლიურად აღუთქვა ამგვარივე დახმარება. **ქნ. დარია რამაზის ასულმა ჭავჭავაძისამ** შესწირა 10 მ., **ბ-ნმა კვეზერელმა-კოპაძემ** 25 მ.

◆ მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორი **ნ. ლ. პეტერსონი** პეტერბურგიდან ტფილისში ხვალ დაბრუნდება.

◆ **ქალაქის სტიპენდიები** განთავისუფლდა: ვაჟთა პირველ გიმნაზიაში—1, დედათა პირველ გიმნაზიაში—2 და დედათა მეორე გიმნაზიაში—3.

◆ კავკასიის სამოსწავლო **ოლქის მზრუნველი ბ-ნი რუდოლფი** ტფილისში დაბრუნდა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

◆ 18 ქრისტეშობისთვეს ტფილისში დაბრუნდა კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი **სამთო ინჟინერი ჟაკი.**

◆ დღეს, ტფილისის სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართება პირველი **სამუსიკო საღამო** ამ სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ.

◆ ამ ჟამად ტფილისში გახსნილია **საგიმნასტო კურსები** საშუალო სასწავლებელთა მასწავლებელთათვის კურსებზე 69 მსმენელია, 34 ქალი, 35 კაცი. კურსები ამ თვის 31 დასრულდება.

◆ **ტფილისის ბაზარზე** დათვის ხორცი იყიდება—12—15 კ. გირვანქა, გარეული ბატი თითო მანეთად, ტყის ქათამი 70—80 კ., ხოხობი 1 მან. 50 კ., 2 მ., თურაჯი 1 მ. 20 კ.—1 მ.—50 კ.-დე, ძუძუ ნასხლეტ ხობოს ხორცი გირვანქა 25 კ. დეკეული 15 კ.

◆ **რომანოვთა გვარეულობის 300 წლის იუბილეს** აღსანიშნავად საბირჟო კომიტეტმა დაადგინა: 1) გადიხადოს 21 თებერვალს სადღესასწაულო პარაკლისი, 2) კითხვები გამართოს საკომერციო სასწავლებლებში, 3) უფასო სადილები გამართოს მუშათათვის 4) უფასოდ დაარიგოს 500 ცალი წიგნაკი: „რუსეთის ისტორია რომანოვთა მეფობის დროს“.

◆ სახაზინო პალატისა და ტფ. ხაზინის არქივის ძველი ქაღალდები საჯარო ვაჭრობით იყიდება სახაზინო პალატა ქალაქის გამგეობას შეეკითხა, რა ღირს ქაღალდი ფუთობითაო.

წვრილი ამბები.

◆ შეიპყრეს პლატონ დავითის ძე საგნაძე და არტემ ნესტორის ძე ფირაძე; მათ განიზრახათ ქურდობა იმ დროს, როდესაც „ორიანტს“ ცეცხლი ეკიდა.

◆ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ არსენ გეორგის ძე ცირიკიძეს 26 ოქტომბერს თავის სახლში დაეცა სამი ბოროტ-გამზრახველი. ცირიკიძე დასჭრეს და 25 მ. გაიტაცეს. ერთი იმათგანი, ალიჩავა, ამ დღეებში თითონ გამოცხადდა პოლიციაში.

◆ ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მცხოვრები იოსებ სპირიდონის ძე გუნცაძე 18 ქრისტეშობისთვეს ბოროტგანზრახველებმა გასძარცვეს. წაიღეს 93 მ. ნივთი. ეჭვით შეიპყრეს დავით ნუკრაძე, ალექსანდრე კამკაძე ილარიონ ფრეუცაშვილი დ მისი შვილი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრთა დღევანდელი საერთო კრება ა. ა. ქალანთარისა და მ. ა. ვასილიევის მოხსენებას მოისმენს.

◆ **სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოების** წევრთა საგანგებო კრება მოხდება 27 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში. განხილული იქნება, სხვათა შორის, 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი.

◆ **საბირჟო კომიტეტის** კრება დღეს, საღამოს 7 ნახ. საათზე მოხდება.

სასწავლებლებში

◆ **ტფ. საბაღოსნო სასწავლებელთან** საზაფხულო სამეურნეო კურსები არსდება სოფლის მასწავლებელთათვის.

სომეხთა ცხოვრება

◆ **პანაშვიდი.** გუშინ, ნაშუადღევის 2 საათზე, სომეხთა ცნობილ მწერლის გ. არწრუნის გარდაცვალების 20 წლის თავზე, განსვენებულის საფლავზე, ხაჯივანქის სასაფლაოზე, გადახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

გორი.

◆ კვირას, 23-ს ქრისტეშობისთვეს ქ. გორში დანიშნულია **ქართველ მანდილოსანთა კრება** მოსალაპარაკებლად იმაზე, თუ როგორ შეეგებნენ სასიქადულო **მსახიობის ალექსი მესხიშვილის** იუბილეს.

თელავი.

◆ 15 ქრისტეშობისთვეს ქალაქის საკრებულო ტაძარში ქ. შ. წ. კ. საზ. თელავის განყოფილების და თავად-აზნაურობის წინამძღოლის თაოსნობით, ქალაქის სამღვდელოებამ დეკანოზ ი. შიუკაშვილის მეთაურობით გარდაიხადა პანაშვიდი ჩვენში ცნობილ საზოგადო მოღვაწის **თავ. იური მიხეილის ძე ჭავჭავაძის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო. შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ბატონმა ივ. პაატაშვილმა, რომელმაც ნათლად დაასურათხატა განსვენებულის მოღვაწეობა.

◆ ქ. შ. წ. კ. საზ. თელავის განყოფილების გამგეობამ, მოისმინა რა თავის წევრის თავად **იურა მიხეილის ძის ჭავჭავაძის** გარდაცვალების ამბავი, დაადგინა: გამოეცხადოს განსვენებულის **ქვრივს თანაგრძნობა,** დაავალოს თავმჯდომარეს თ. მ. ზ. ჰავჭავაძეს დაესწროს საზოგადოების მხრივ დაკრძალვას, გადაიხადოს პანაშვიდი და გვირგვინის ნაცვლად გამოუწეროს ყვარლის სასოფ. სკოლას ერთ-ერთი საყმაწვილო ჟურნალი და წ. კ. თელავის სკოლაში გაანთავისუფლოს სწავლის ფულისაგან სამი ბავშვი განსვენებულის სახელობაზე.

ქუთაისი

◆ შავი ქვის საბჭომ იკისრა **საჩხერის ხიდის** დასრულება.

◆ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე ბ-ნი **სლავინსკი** დაბა ხონს გაემგზავრა. („იმერეთი“).

კაცის დაჭრა

18 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ბარიატინსკის ქუჩაზე მდგარ პოლიციელს მოესმა ყვირილი „დაიჭი, დაიჭი!“ პოლიციელმა დაინახა, რომ მისკენ მირბოდა ვიღაც უცნობი კაცი, დაიჭირა და საპოლიციო უბანში გაგზავნა. იგი აღმოჩნდა ოზურგეთის მაზრის მცხოვრები გიორგი სტეფანეს ძე წულაძე, რომელიც 3½ წელიწადი ციხეში იჯდა. აბრალებდნენ გორის ხაზინის გაძარცვის საქმეში მონაწილეობას, მაგრამ სასამართლომ იგი გაამართლა. სანამ დაიჭერდნენ, წულაძეს უმსახურნია ლაღიძის ლიმონათების ქარხანაში, იცოდა ქარხნის ყველა შესავალ-გასავალი. წულაძე 18 ქრისტეშობისთვეს, დილის მატარებლით ჩამოსულა და დაახლოვებით საღამოს 7 საათზე, შესულა ლაღიძის ლიმონადების ქარხნის კანტორაში. იქ დახვედრია მხოლოდ ბუხჰალტერი კონსტანტინე ივანეს ძე. ჩხენკელი. ჩხენკელს უკითხავს, რა გინდათო? წულაძეს უპასუხნია—ლიმონადიო. ჩხენკელს წულიძე ბუფეტში გაუგზავნია, მაგრამ ამ დროს წულაძეს ამოუღია ფინური დანა და რამდენჯერმე დაურტყავს. ჩხენკელი ეწინააღმდეგებოდა იმ დრომდე, სანამ გონება არ დაჰკარგა. ხმაურობაზე ხალხი მოცვივდა. წულაძე გაიქცა, მაგრამ ბარიატინსკის ქუჩაზე შეიპყრეს. ექიმის სიტყვით, ჩხენკელის ჭრილობა საშიში არ არის. წულაძე გამოტყდა.

ვარლამ გელოვანს

ამ ერთის თვის წინად, როდესაც [illegible] მოვალეობის ასასრულებლად, რომელიც დაგავალათ თქვენმა ქვეყანამ, გზაში პატარა ვაჟი გაგიხდათ ავად და იძულებული იყავით ბაქოში მიგეტოვებინათ ავადმყოფი ყმაწვილი მეუღლისა და ნათესავთა ხელში, ხოლო თქვენ კი, დაჩაგრულის გულით, დეპუტატის მოვალეობის ასასრულებლად გასწიეთ პეტერბურგში, სადაც მხნედ და პირნათლად შეუდექით თქვენი ქვეყნის მიერ დაკისრებულ საქმის თადარიგს. კმაყოფილების გრძნობით ვიმსჭვალებოდით, ვადევნებდით რა თვალს ამ თქვენს გარჯასა და მუშაობას, რომელსაც აწარმოებდით მედგრად და სინიდისიერად, მიუხედავად იმისა, რომ თქვენივე მოძმეები, სხვა ჯგუფის წარმომადგენელნი, წინააღმდეგობას გიწევდნენ და სცდილობდნენ თქვენი სახელის გატეხას რუსეთის საზოგადოების წინაშე.

მაგრამ ამავე დროს ამბავი მოგვდიოდა, რომ თქვენი ავადმყოფი პატარა ვაჟიშვილი განსაცდელში იმყოფება და მისი მორჩენის იმედი აღარ არის. ვგრძნობდით კარგად, როგორ უნდა შეწუხებულიყო თქვენი მამობრივი გული ამ უბედურების გამო, მაგრამ თქვენ ადგილს არ იცვლიდით და მიუხედავად იმისა, რომ მომაკვდავი შვილი გვგულებოდათ ბაქოში, თქვენს საქმეს და მოვალეობას არ უღალატეთ და გაორკეცებულის მხნეობით უძღვებოდით მას. მხოლოდ ცხლახან, დღესასწაულების გამო საქმეებისაგან განთავისუფლებული, გაეშურეთ თქვენი ავადმყოფის სანახავად. მაგრამ, საუბედუროდ, უარესი მწუხარება მოგელოდათ. თქვენი საყვარელი შვილი გარდაცვლილა და თქვენ მხოლოდ მის ხულთა-ბრძოლას ჩაუსწარით ბაქოში.

ეს ამბავი ჩვენამდეც მოვიდა. და გვერწმუნეთ, ძვირფასო ვარლამ, დიდად შევწუხდით და დავღონდით, ყველანი თქვენი ამხანაგნი და თანამოაზრენი. წრფელის გულით გიზიარებთ ჩვენს ძმურს თანაგრძნობას და ვიმედოვნებთ, რომ თქვენი თანამოაზრეთა ამ წრფელ თანაგრძნობაში ჰპოვებთ მცირედ ნუგეშს მაინც თქვენს დიდ მწუხარებაში. ჩვენ კი, ჩვენ ვიმაყობთ თქვენის სიმტკიცით და მხნეობით, ვამაყობთ, რომ პირადმა მწუხარებამ ხელი არ შეგიშალათ თქვენი დიდი მოვალეობის ასრულებაში. და უეჭველია ის გარემოება, რომ ამ თქვენს სიმტკიცეში თქვენც ჰპოვებთ კმაყოფილებას, რამაც უნდა შეგმატოს ძალა და მხნეობა გასაჭირ დღეებში.

გითვლით ჩვენს გულითად სალამს და კიდევ ერთხელ ვიმედოვნებთ, რომ მწუხარება არ გასტეხს თქვენს გულსა და შრომასა და სამშობლოს წინაშე მოვალეობის აღსრულებაში კვლავ ჰპოვებთ ძალას მომავალ მძიმე და პასუხსაგებ მოქმედებისათვის.

არჩილ ჯორჯაძე.

მცირე შენიშვნა

ბ. **ისარი** თავის საყურადღებო წერილში*) სხვათა შორის ამბობს: „ოჩემჩირეში მრავლად სცხოვრობენ ოსმალელი თათრები, რომელნიც დიდი ხნიდანვე ყოფილან აქა და მეგრულადა და აფხაზურადაც კარგად ლაპარაკობენ. ესენი აქ უფრო ვაჭრობასა და მეზღვაურობას მისდევენ“-ო.

იბადება საკითხი: ვინაა ეს მეგრულად და აფხაზურად მოლაპარაკე თათრები? რასაკვირველია, ნამდვილი თათარიც ადვილი წარმოსადგენია ლაპარაკობდეს მეგრულ-აფხაზურად, მაგრამ ოჩემჩირეში მყოფი თათრები (უმრავლესობა მაინც) რომ ნამდვილი თათრები არ არიან, ეს ცხადზე უცხადესია. საქმე ის არის, რომ ორი სულ სხვა და სხვა კათეგორიის ცნება-სარწმუნოებრივი დ ეროვნულ-ეთნოგრაფიული—დიდი ხანია რაც ერთიმეორეში აირია და დღესაც ასე არევ-დარევით განაგრძობს სიარულს. თუ ამ ორ სხვა და სხვა ცნებათა არევ-დარევას თავს დავაღწევთ, ცხადად დავინახავთ, რომ ოჩემჩირის „თათრები“ თათრები არიან მხოლოდ სარწმუნოებით (ე. ი. მაჰმადიანები არიან), ეროვნებით კი **ლაზები ანუ ჭანები,** ეს ჩვენი უნიჭიერესი ძმები, ჩვენგან კარგა ხანია მივიწყებული და ალალაბედზე მიგდებულია ოსმალეთის სასტიკ და უნაყოფო პოლიტიკურ-კულტურულ ველზედ. აქ დრო და ადგილი ნებას არ გვაძლევს ვრცლად შევეხოთ ჭანების ისტორიულ სვე-ბედს, მსურველი ცოტა რამეს ამის შესახებ ნახავს ჩემ წერილებში (იხ. „ნაკადული მოზრდილთათვის“ 1911 წ., №№ 8, 9, 10), სადაც აგრეთვე დასახელებულია წყაროები, რომლებითაც მე ვისარგებლე. აქ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ასეთი „თათრები ბლომად მოიპოვება არა მარტო ოჩემჩირეში, არამედ ბათომში, ფოთში, სოხუმში, საზოგადოდ, შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ ნაპირზე და სამხრეთ რუსეთში. უცხოელი მოგზაურებიც, რომელთაც აწერილი აქვსთ ეს ადგილები, ძლიერ აქებენ აქაურ თათრების ნაოსნობა-მეზღვაურობას, ნამდვილად კი ყველა ეს თათრები ისეთივე „თათრები“ არიან, როგორიც ქართველი კათოლიკენი „ფრანგები“-ა. ამ „თათრების“ მეგრულ-აფხაზურად **კარგი** ლაპარაკი, გარდა იმისა რომ დიდი ხნით ცხოვრობენ ისინი სამეგრელო—აფხაზეთში, ბევრად იმითაც აიხსნება, რომ თვით ამ „თათრებს“ თათრული ენის გარეშე აქვსთ თავისი საკუთარი დედა-ენა, ჭანური ანუ ლაზური, რომელიც ძლიერ უახლოვდება მეგრულს და მასთან ერთად შეადგენს **ტუბალ-კაინურ ჯგუფს იაფეტურ ენათა შტოისას,** და ამ შტოს კი რამოდენიმედ აფხაზურიც უახლოვდება. ჭანური ოჩემჩირეშიც გაისმის: სამეგრელოსა და სამურზაყანოში ჩემი მოგზაურობის დროს ჩავწერე ერთი ჭანური ლექსი თვით ოჩემჩირეში მცხოვრებ ლაზისაგან, რომელიც მოსულია აქ აზლაღაშიდან (ჭანეთშია ერთი ადგილი). საყავეში, სადაც ჩვენ ვიყავით, ბევრი ლაზი შემოვიდა. მე იმათ წაუკითხე წინად შეკრებილი, უკვე დაბეჭდილი ჭანური ლექსები და ზღაპრები. ძლიერ დაინტერესდნენ და კითხვის დროს მისწორებდნენ, ესა თუ ის სიტყვა ასე უნდა და არა ასეო. ოჩემჩირეში ჩაწერილი ლექსი სათაურით „ბიჭი და ბოზო“ (ვაჟი და ქალიშვილი) ცალკე დაიბეჭდა „საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის უწყებებში“ 1911 წ., გვ. 1123—1124. ოჩემჩირეში გავიცანი რამოდენიმე ლაზი, სხვათა შორის ერთი ყმაწვილი—სევდალი ქელერჯიოღლი, რომელიც მშვენივრად კითხულობდა და სწერდა ქართულად, ხოლო სწუხდა ქართული წიგნების უქონლობას. აი აქ კი ჩვენი ზნეობრივი ვალია გადავუშალოთ დღეს ჩვენგან მოწყვეტილ ძმებს ქართული წიგნი, რომ იქ თითონ დაინახონ, რა იყვნენ, რა არიან და ან რა უნდა იყვნენ.

ლაზებთან კავშირის დაჭერა უფრო ადვილი [illegible] უფრო ნაყოფიერიც იქნება, ვინემ სხვა ჩვენ[illegible]. ლაზებს ჩვენთან ეკონომიური დამოკიდებულება აქვთ: ბევრი მათგანი, ოსმალეთიდან მოსული, დიდი ხნობით ჩვენში რჩება და ვაჭრობას იწყებს, ბევრი დროებით გადმოდის, როგორც, მაგ., დურგლები და სხვა მოხელეები, ბევრიც მუდამ მოძრაობაშია, როგორც, მაგ., მეზღვაურნი. გარდა ამისა ჭანების მცირედი ნაწილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში ბინადრობს, **ჩხალა-წყლის** ხეობაში (ბათუმის ოლქის ართვინის მხარეში). აგრეთვე საჭიროა და მოსახერხებელიც ლაზებსა და სტამბოლის ქართველთა შორის კავშირის დაჭერა. როგორც აკადემიკოს ნ. მარის ლაზისტანის აღწერილობიდან სჩანს, ლაზი-სტუდენტები ყოფილან სტამბოლის უმაღლეს სასწავლებელში და ფრიად საინტერესოა ვიცოდეთ, არის მათ და სტამბოლელ ქართველებს შორის ნაცნობობა და რამე კავშირი თუ არა.

იმ გარემოებამ, რომ ლაზები და ჩვენ სხვა და სხვა სარწმუნოებისა ვართ და სხვა და სხვა სახელმწიფოში ვიმყოფებით, არ უნდა დაგვაფიქროს და შეგვაჩეროს ერთმანეთის ხელის გასაწვდენად, სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი ერთგვარობა სრულიადაც არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას მოძმე ტომთა შორის ერთ ეროვნული თვითშემეცნებისა და სულიერი კავშირის დამყარებისათვის.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჭანებს სულ ცოტა დროში სრული გადაგვარება მოელით: დედა-ენას დღითი-დღე ჰკარგავენ და ივიწყებენ მამაკაცებს მათივე თქმით ეს „დიაცთა ენა“ კიდეც ეთაკილებათ, თათრული უფრო მოსწონთ და ეხერხებათ და ხშირად თითონაც თავი თათრებად მოაქვსთ.

ცხადია, თუ ასეთი მდგომარეობა არ შეიცვალა, ჭანები,—ეს ერთი უძველესი ტომთაგანი, ლითონის დამუშავების გამომგონნი და კაცობრიობისათვის მისი გადამცემი,—თავისი თავის ცნობას მთლად დაჰკარგავენ და ვეღარც სხვა ვინმე იცნობს მათ.

ი. ყიფშიძე.

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 759.

სასამართლო

პ. კალანდაძის საქმე.

ტფ. სამოსამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით 18 დეკემბერს განიხილა საქმე პ. კალანდაძისა, რომელსაც ბრალად ედებოდა დანაშაული, აღნუსხული სისხ. სამ. დებულ. 129 მუხ. 1 ნაწ. მე-2 პუნქტში.

საბრალმდებლო ოქმის მიხედვით საქმის ვითარება ასეთია: 1906 წელ ქალ. ტფილისში, სტამბა „შრომაში“ დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა ქართულ ენაზე კ. კაუტსკის ბროშიურა „ინტელლიგენცია და პროლეტარიატი“, თარგმანი პ. კალანდაძისა. ეს თხზულება რუსულ ენაზე გასასყიდად აკრძალული იყო 1911 წელს. ავტორს ამ თხზულებაში გატარებული აქვს აზრები არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ.

ბეჭდვითი საქმეთა ტფილისის კომიტეტმა განკარგულება მოახდინა, რომ ბროშურა დაეჭირათ. ამის გამო, პოლიევქტ ანტონის ძე კალანდაძეს 33 წლისა, ბრალად ედებოდა ის, რომ ქართულ ენაზე სთარგმნა და ხალხში გაავრცელა კ. კაუცკის ბროშიურა, სადაც გატარებულია აზრები, რუსეთის არსებულ წესწყობილების დამხობის შესახებ. ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექილი **ბარათაშვილი.**

ბრალმდებელის თანაშემწე. კალანდაძეს ბრალად ედება ბროშიურის გავრცელება სადაც ვითომ გატარებულია აზრები რუსეთის არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ. ამ ბრალდებას მხარს ვერ უჭერს, რადგანაც ბროშიურაში საუბარია მხოლოდ კაპიტალისტისა და მუშების განწყობილების თაობაზე. ამიტომ ბრალსა სდებს მხოლოდ 129 მ. მე-6 პუნქტის ძალით.

ნაფ. ვექ. **ბარათაშვილი.** ბრალდება არ არის დასაბუთებული. საჭიროა მთარგმნელის პიროვნების დამოწმება. ვინა სთარგმნა არ ვიცით. ეკითხებით—შენ სთარგმნეო? კალანდაძე გიპასუხებთ—უარით. და თუ ბროშურაზე პ. კალანდაძე სწერია, ხომ შეიძლება პავლე ან პოლიკარპე იყოს ან ფსევდონიმი.

გარდა ამისა კალანდაძე გამოცემის დროს აქ არ იყო. რაც შეეხება ბრალდებას არსებითად, ისიც უსაფუძვლოა. ვილაცამ გადათარგმნა და გაავრცელა ბროშიურა, რომელშიაც მხოლოდ მეცნიერულად გარჩეულია საკითხი: როგორ იბადება ზედმეტი ღირებულება. მეცნიერულად ამტკიცებს ავტორი ვინ უნდა დაუჭიროს მხარი სამუშაოს მომცემს და ვინ—მუშებს. ასე თუ დავაყენებთ საკითხს მაშინ ყველა სამეცნიერო ეკონომიურ ხასიათის წიგნის ავტორი დამნაშავის სკამზე უნდა დასვათ. უნდა აკრძალოთ პოლიტიკური ეკონომიურის სახელმძღვანელოები და სხვა. ამის გამო იგი თხოულობს ბრალდებულის გამართლებას.

საგანგებო საკრებულომ 15 წუთის თათბირის შემდეგ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც პ. კალანდაძე დამნაშავედ იცნო კაპიტალისტებისა და მუშებს შორის უთანხმოების გამომწვევ აზრების გავრცელებაში და ერთი თვის ციხე მიუსაჯა.

ამავე სხდომაზე პირველი სახელმწიფო სათათბიროს ნადეპუტატარი **ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას** საქმის განხილვა დაიწყეს.

მას ბრალად ედებოდა ის, რომ 1911 წელს გამოსცა წიგნი „რჩეული ნაწერები“; ამ წერილებში ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველომ დაინახა ხალხში რუსეთის არსებულ წესწყობილების დასამხობად გავრცელება და სამართალში მისცა ავტორი 129 მუხ. 1 ნაწილით.

ბრალდებულს იცავდნენ ნაფ. ვექილები: **ბროდსკი** და **კაჩუხოვი.**

მოწმე თავართქილაძე სასამართლოში არ გამოცხადდა.

ბრალმდებელის თანაშემწე ამტკიცებდა, რომ ამ ხმის ჩვენებას მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ საქმის განხილვა შეიძლებაო.

ნაფ. ვექ. **კაჩუხოვი**. ასეთ პირობებში საქმის განხილვა შეუძლებელია. მოწმე თავართქილაძის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც წიგნის დაბეჭდვამდე და გამოცემამდე ბრალდებულმა თავართქილაძე გაგზავნა ბეჭდვითი საქმეთა კომიტეტში და შეეკითხა წერილების გამოცემის შესახებ. იქ უპასუხეს, რომ წერილები საშიშო არ არის. გარდა ამისა ვეებერთელა წერილები, რომელიც დაბეჭდილია 47 ფურცელზე, საქმეში მოთავსებულია 7 ფურცელზე, ისიც „რემინგტონით“ ნაბეჭდი. ექვს გარეშეა ან ცალკე ადგილებია ამოღებული ან შინაარსი წერილებისა. ამიტომ დამცველი თხოულობს: საქმის განხილვა გადაიდოს, გამოიწვიონ მოწმე თავართქილაძე და აგრეთვე ნაფიცი თარჯიმანი, რომელიც მთელ წერილს გადასთარგმნის.

ბრალმდებლის თანაშემწე მხარს უჭერს თხოვნას, რომ წერილები სრულებით იყოს გადათარგმნილი.

სასამართლომ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ დაადგინა: გამოუცხადებლობისთვის მოწმე თავართქილაძე დააჯარიმოს 100 მანეთით, საქმის განხილვა გადაიდოს და გამოწვეულ იქმნას თარჯიმანი წერილების გადასათარგმნელად.

ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე განყოფილებაში, დღეს, 20 ქრისტიშობისთვეს გაირჩევა საქმე თავ. მ. ი. ჯამბაკურ ორბელიანისა, თავ. გ. ი. ამირაჯიბისა და სხვათა, რომელთა წინააღმდეგ კერძო საჩივარი აღძრა „ტფ. ლისტ.“ რედაქტორმა ქ. გ. ხაჩატუროვმა.

ტფ. სასამართლო პალატაში დღეს განიხილეს სააპელაციო საქმე, ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფ ერმოლოვისა, ივანოვისა და სხვათა, („ისხაბადელები“), რომელთაც ოლქის სასამართლომ უკვე მიუსაჯა სასჯელი შუა-აზიის რკინის გზაზე ფოსტის გაძარცვისთვის.

მოწერილი ამბები

ალაგირი. 8 ქრისტიშობისთვეს გვეწვია ძვირფასი სტუმარი, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი დავითი. ქართველების სკოლაში ილოცა მწუხრი და ცისკარი, რომელსაც ბლომად დაესწრო აქაური ქართველობა, გალობდა ადგილობრივ ქართველ მოწაფეთაგან და უფროსებისგან შემდგარი გუნდი ბ-ნ მასწავლებელ გ. უტურაშვილის ლოტბარობით. ლოცვის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთ და სხვათა შორის სთქვა: „ვიცი ძმანო, თუ რა აუტანელი უნდა ყოფილიყო თქვენი ცხოვრების პირობები, რომ მიგეტოვებინათ თქვენი სისხლით და ოფლით მორწყული მიწა-წყალი და გადმოსახლებულხართ უცხოთა შორის“...

სიტყვების დროს, ეპისკოპოზს ღაპა-ღუპით სცვიოდა ცრემლი, იგივე გამოიწვია მსმენელთა შორის. დასასრულ ურჩია, რომ ყოველ საზოგადო საქმეს, თანხმობით, ერთად ძმურად მოჰკიდონ ხელი, კეთილგანწყობილებაში იყვნენ მეზობელ ხალხთა შორის და სხვა.

მეორე დღეს ადგილობრივ ეკლესიაში სწირა 4 მღვდლის და ორ მთავრის თანამწირველობით, ერთი ღვდელთაგანი ქართველი იყო—მამა გაბრიელ ბოქორიშვილი, დანარჩენნი რუსები და ოსები. ამ წირვას ურიცხვი მლოცავი მოაწყდა, როგორც ქართველები, ისე რუსები და ოსები. ღვთის მსახურება და გალობაც სამ ენაზე იყო.

ამ წირვაზედაც სთქვა ქადაგება რუსულად საზოგადო ხასიათისა. წირვის შემდეგ ქართველების სკოლაში გაუმართეს დიდებული სადილი, ამ დროს სცენაზე მგალობელთა გუნდმა მწყობრად შეასრულა რამდენიმე ქართ. სიმღერა. 10 ქრისტიშობისთვეს მეცადინეობის დროს ინახულა სამი სასწავლებელი: ქართველებისა, რუსებისა და ოსებისა. აგრეთვე ინახულა რამდენიმე ქართველის ოჯახი და 11 ქრისტიშობისთვეს დიდის მადლობით გამოემშვიდობა. **სტუმარი.**

საკანონმდებლო დაწესებულებებში

კადეტების ფრაქციის ფორმულა.

კადეტების ფრაქციამ შემდეგი ფორმულა შეიმუშავა მორიგ საკითხებზე გადასასვლელად: „რაკი მოისმინა მთავრობის განცხადება, დასცნო, რომ სრული და თანდათანი განხორციელება 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებულ დებულებათა ყოვლად შეუძლებელია 3 ივნისის 1907 წლ. კანონისა და სახელმწიფო საბჭოს საფუძვლის შეუცვლელად, აგრეთვე მთავრობის განზრახვათა ქვეყნის სურვილთან შეუთანხმებლად—სახელმწიფო სათათბირო ურჩევს მთავრობას ხალხის წარმომადგენლებთან ერთად შეუდგეს სახელმწიფოს ძირითადისა და უსაჭიროეს მოთხოვნილებათა განხორციელებას და გადადის მორიგ საკითხებზე“.

ოქტომბრისტთა შორის.

ოქტომბრისტების ფრაქციის სხდომაზე მსჯელობა იყო მორიგ საკითხებზე გადასასვლელ ფორმულის შესახებ. კამათის შემდეგ დაადგინეს, რომ საკუთარ ფორმულას ნუ შეიტანენ და კენჭის ყრის დროს მხარი დაუჭირონ პროგრესისტების ფორმულას, რომელიც უფრო უახლოვდება იმ პოზიციას, როგორსაც ოქტომბრისტები ადგანან მე-4 სათათბიროში.

სამასწავლებლო ინსტიტუტის რეფორმა.

სხვა და სხვა ფრაქციის დეპუტატებმა სახელმწიფო სათათბიროში შეიტანეს სამასწავლებლო ინსტიტუტის რეფორმის კანონ-პროექტი, რომლის აზრითაც სწავლის დრო ოთხ წლამდე გრძელდება და არსდება ახალი განყოფილებანი; ლიტერატურული-ისტორიული, ფიზიკურ-მათემატიკური და საბუნების-მეტყველო-ისტორიული. ამას გარდა განზრახულია ზოგიერთი კურსის გაფართოვება ახალი საგნების შემატებით, მოწაფეებს უფლება ექნებათ, შესაფერი ეგზამენის დაჭერით, უნივერსიტეტში შესვლისა.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

18 ქრისტიშობისთვე.

საზავო მოლაპარაკება.

ლონდონი. ბალკანეთის დელეგატები იბაასნენ რეიტერის კორესპონდენტს. დელეგატებს უთქვამთ: ოსმალეთის დელეგატებს ზავის პირობის უმეტესი ნაწილი დიდ სახელმწიფოთ უნდა გადაეცეს გადასაწყვეტადაო; გარნა საზღვარის საკითხი ბულგარეთმა და ოსმალეთმა საბოლოოდ უნდა გადასწყვიტოსო. როცა ოსმალეთის დელეგატებმა სთხოვეს, განეხილათ ზავის პირობების მეორე ხარისხოვანი საკითხები, მოკავშირე დელეგატებმა წინადადება მისცეს წერილობით გადმოეცათ შეცვლილი პირობები. ამის გამო ოსმალეთის დელეგატებმა ითხოვეს საკითხის განხილვა სხვა დროსთვის გადაიდოს, რადგანაც საკმაო რწმუნებულება არ ჰქონდათ. მოკავშირე დელეგატებმა დაინახეს, რომ მოწინააღმდეგე დელეგატები განზრახ აჭიანურებენ მოლაპარაკებს. მათ გადასწყვიტეს ოთხშაბათს მოსთხოვონ გადაჭრილი პასუხი. ამ მოთხოვნილების რედაქცია ულტიმატუმის ხასიათისა იქნება.

სტამბოლი. პორტაში ირწმუნებიან, რომ ოსმალეთის სახელმწიფოს თხოვნით დიდი სახელმწიფონი ჩაერევიან მოლაპარაკებაში ზავის ჩამოგდების დასამყარებლად.

სოფია. „მირი“ გულისწყრომას აცხადებს ოსმალეთის დელეგატების ტაქტიკის წინააღმდეგ. გაზეთის სიტყვით, თუ ოსმალები განზრახ გააჭიანურებენ საზავო მოლაპარაკებას, მოკავშირე სახელმწიფონი შეჰსწყვეტენ კონფერენციას და იარაღით ჩამოაგდებენ მშვიდობიანობას. მოკავშირე სახელმწიფონი სცდებიან ოსმალეთსა და ბალკანეთს შორის ზღვა დასდვან საზღვრად ეს ბუნებრივი. საზღვარი მოსპობს ყოველ გვარ მოლაპარაკებას, და ხელშეუხებლობითაც მშვიდობიანობა დამყარდებაო. მოკავშირენი ამ საშუალებას გაურბოდნენ, მაგრამ თუ ოსმალები თავიანთ სიჯიუტით გამოიწვევენ საქმის გართულებას, ბალკანეთი პასუხის მგებელი არ იქნებაო.

საბერძნეთი და ოსმალეთი.

ათინა. გენერალი საპუნზაკისი დეპეშით იტყობინება, რომ მარცხენა ფლანგზე ყუმბარების სროლა მოხდა, მოპირდაპირენი უკუვაქციეთო.

გაზეთებიდან.

სამშვიდობო მოლაპარაკება.

ლონდონიდან „რუსკოე სლოვოს“ ატყობინებენ: იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება უშედეგოდ არ გათავდება. უთანხმოებას გამოიწვევს ორი საკითხი: 1) კუნძულებისა, რომელიც ამრიგად გადასწყდება: ოსმალეთი უარს ეტყვის მოკავშირეებს იმ ოთხი კუნძულის მითვისებაზე, რომელიც დარდანელის შესავალთან მდებარეობს, ხოლო მოკავშირენი დაუთმობენ ამ კუნძულებს; რაც შეეხება მცირე აზიის სანაპიროებთან მდებარე კუნძულებს, შესაძლებელია მათი ბედი კომპრომისით გადასწყდეს—ოსმალეთის მთავრობა დასთმობს ამ კუნძულებს მხოლოდ იმ პირობით, თუ მისმა ახალმა პატრონებმა არ გაამაგრეს იგინი. კრიტეს შესახებ კამათიც კი არ იქნება, ხოლო კუნძული თაზოსი სახელით ეგვიპტის ქედივს ეკუთვნის. ბულგარელებს თავისთვის უნდათ იგი, მაგრამ მისი ბედი დაპყრობილ ქვეყნების გაყოფის დროს გამოირკვევა. იმ კუნძულების საკითხს კი, რომელნიც ახლა იტალიას უჭირავს დროებით, დიდ სახელმწიფოებთან შეთანხმებით გადასწყვეტენ თვით მოკავშირენი. დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევს ადრიანოპოლის საკითხი. ბულგარელები გადაჭრით აცხადებენ: ან ადრიანოპოლი, ან ომის განახლებაო. მოკავშირენი ერთსულოვანი არიან ბულგარელებთან ამ საკითხში. ერთმა დიპლომატმა სთქვა; ადრიანოპოლის საკითხს რუსეთი გადასწყვეტს ბულგარეთის სასარგებლოდაო, იგი კავკასიის საზღვრებიდან მუქარით ძალას დაატანს ოსმალეთს, რომ დათმობის გზას დაადგესო. ამრიგად ევროპის სახელმწიფოები ამ თავითვე ჩაერევიან სამშვიდობო მოლაპარაკებაში. ასეთი მოვლენა, რასაკვირველია, ფასს უკარგავს ბალკანეთის კავშირს, რომელმაც პირდაპირ ოსმალეთს უნდა გაუსწოროს ანგარიში.

ჩერნოგორია ფრთხილად არის.

ვენა. ჩერნოგორიამ თავისი საუკეთესო ბატალიონი სკუტარიდან ავსტრიის საზღვრისკენ გაგზავნა. ასეთი საქციელი იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ავსტრიას ლოვჩენის მთებზე უჭირავს თვალი.

ბულგარეთის იმედი.

სოფია. მთავრობის წრეებში იმედოვნებენ, რომ მშვიდობიანობა მალე ჩამოვარდება. მინისტრმა თოდოროვმა განუცხადა დეპუტატებს, სახელმწიფოების დახმარებით სამშვიდობო მოლაპარაკება ორი კვირის განმავლობაში დასრულდებაო.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები

18 ქრისტიშობისთვე

ვენა. ზედა პალატა. ბერნეიტერმა სთქვა, რომ ლონდონში მშვიდობიანობის სუნი დატრიალდა, რაც იმედს გვაძლევს დახლართულ საკითხების მშვიდობიანის გზით გადაწყვეტისას. მოლაპარაკე სიამოვნებით აღნიშნავს, ავსტრიის მოთხოვნილების შეწყნარებას ალბანეთის დამოუკიდებლობაზე და ადრიატის ნავთსადგურზე. იმედია, ამბობს მოლაპარაკე, ალბანეთის საზღვრები დადებული იქნება საერთაშორისო თანხმობითო, მომხსენებელი პრენერი მოითხოვს, შეიცვალოს ვაჭრობის პოლიტიკა სერბიის მიმართ, მშვიდობიანობის და მეგობრობის განსამტკიცებლადო.

გაზეთებიდან

ლონდონი. ავსტრიამ ახალი საკითხი აღძრა, რომელიც ადრიატიკის ნავთსადგურის საკითხს არ ჩამოუვარდება—სკუტარის შესახებ. ავსტრია თხოულობს, რომ სკუტარი ალბანეთის მომავალ ავტონომიის ფარგალში შევიდეს; რითაც სრულიად ეკარგება მნიშვნელობა სან-ჯიოვანი—დიმედუას ნავთსადგურს, რომელიც ჩერნოგორიას უნდა დაეთმოს. ასეთი საკითხი ავსტრიას პირველად არ აღუძრავს. ომის დაწყებისთანავე ავსტრიამ წინადადება მისცა ჩერნოგორიის ლოვჩენის მთების დათმობის თაობაზე, რომელიც ავსტრიის ნავთსადგურ კატაროს ჰპატრონობს, ნაცვლად ამისა იგი დახმარებას ჰპირდებოდა ჩერნოგორიას სკუტარის შეძენის საკითხში. მაგრამ, როდესაც მეფე ნიკოლოზმა ამაზე უარი უთხრა, ავსტრიამ სამაგიერო გადაუხადა სკუტარის საკითხის აღძვრით. ახალი მოთხოვნილების წამოყენებით ავსტრიამ სრულიად გააბათილა თვისივე განცხადება, რომ ბალკანეთის საკითხში ტერიტორიის შემატებით არა გვარ დაინტერესებულიო.

ევროპის დიდი კონფერენცია.

პეტერბურგი. ავსტრია-სერბიის დავის მშვიდობიანად გადაწყვეტამ დაჰბადა ახალი აზრი ევროპის დიდი კონფერენციის მოწვევისა, რომელიც მიიღებს და დაადასტურებს ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ელჩთა ლონდონის კონფერენციამ შეიმუშავა. ასეთი კონფერენციის მოწვევას თანაგრძნობით მიეგება მთელი ევროპა. დიპლომატურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ განზრახულ კონფერენციის შესაკრებად პარიზზე უკეთეს ადგილს ვერ მოსძებნიანო.

ავსტრიის გეგმა.

პარიზი. გაზ. „ჟურნალ“-ში დაბეჭდილია აზრი პოლონელ გამოჩენილ მაგნატისა, რომელიც ფრანც-იოსებისა და მემკვიდრის დიდ მეგობრად ითვლება ერცჰერცოგის განზრახვა მეტად ფართოა—უთქვამს მაგნატს—მას ჰსურს ახლანდელ ავსტრიის ნაცვლად შექმნას ძლიერი ფედერაცია, ავსტრიისა, უნგრეთისა, ბოჰემიისა, პოლონეთისა, სერბიისა და ჩერნოგორიისაგან, რომელთაც შეუერთდება აგრეთვე ავსტრიის სამხრეთი სამფლობელოები. ფრანც-ფერდინანდი ჰფიქრობს, რომ ბულგარეთი არ იქნება ასეთი კომბინაციის წინააღმდეგი.

რუმინიის პრეტენზია.

ვენა. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ელჩთა კონფერენციაზე რუმინია წინადადებას შეიტანს, რათა კუცო-ვალახებით დასახლებული ნაწილი მაკედონიისა ალბანეთის მომავალ ავტონომიას შეუერთდეს. ამ წინადადებას ავსტრიის გავლენას აწერენ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

18 ქრისტეშობისთვე

სპარსეთი.

თავრიზი. ეს მეორე დღეა სატელეგრაფო სადგურთან აუარაბელი ხალხი იდგა; ყველა წოდების წარმომადგენელნი შეკრებილან ბაქტიარის კაბინეთის შეცვლაზე მოსალაპარაკებლად. ქუჩები ხალხით არის გაჭედილი. თეირანი სდუმს.

ჩინეთი და მონგოლეთი.

ურგა. მონგოლეთის მთავრობამ მიიღო ცნობები, რომ ჩინეთის მთავრობამ შეიპყრო შიდა მონღოლეთის ულანჯაის სეიმის პრეზიდენტი ლხავანობრო და კუკუხოტოში გაგზავნაო.

ინდიანაპოლისი. რკინისგზის მოსამსახურეთა კავშირის პრეზიდენტს, დინამიტის პროცესის მონაწილეს, 7 წლის კატორღა მიუსაჯეს.

ნიუ-იორკი ასიათასი მკერავი ქალი გაიფიცა. ქალაქში არეულობაა.

რუსეთი.

ტაშკენტი. დაიწყო საპიორთა ათი ოფიცრის საქმის გარჩევა, რომელთაც უმოქმედობა ჰბრალდებათ საპიორთა ივლისის აჯანყების დროს

პეტერბურგი. გამოაქვეყნეს საერობო ფინანსების გასაუმჯობესებელი კანონი.

პეტერბურგი. 500 მანეთით დააჯარიმეს „ლუჩი“-ს რედაქტორი წერილისთვის—„ვინ არის აგიტატორი?“.

მოსკოვი. ჭლექთან მებრძოლ ლიგის კრება დასრულდა. შემდეგი კრება მოხდება მომავალ მაისს პეტერბურგში.

პეტერბურგი. 18 ქრისტიშობისთვეს არქიერ სერგის თავმჯდომარეობით მოხდა საეკლესიო კრების წინასწარი თათბირი. თათბირმა დაადგინა პატრიარქის ასარჩევი წესები. პატრიარქს ირჩევს რუსეთის არქიერთა კრება, პატრიარქად არჩევა შეიძლება ყველა არქიერისა, რომელსაც უმწიკვლოდ შეუსრულებია არქიერის თანამდებობა 10 წლის განმავლობაში და მაღალ თანამდებობის შესაფერი სწავლა მიუღია.

რუსეთი

კულიაბკოს საქმე.

კიევის სამოსამართლო პალატაში წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, დაიწყო კულიაბკოს საქმის გარჩევა. კულიაბკოს საქმე ერთი რგოლია მთელ საქმეთა ჯაჭვისა, რომელიც დაკავშირებულია სტოლიპინის მოკვლასთან.

კულიაბკოს სახე უსიცოცხლო აქვს, თითქოს ავად არისო.

თავმჯდომარე. სცნობ თუ არა თავს დამნაშავედ?

კულიაბკო არა.— კულიაბკო შუამდგომლობს საქმის გარჩევა გადაიდოს, რაც სენატის თვისაც აქვს ნათხოვნი. პალატამ კულიაბკოს შუამდგომლობა არ შეიწყნარა და საქმის განხილვას შეუდგა.

კულიაბკო. „ჩემი ჩვენების ჩამორთმევა ხალხის დაუსწრებლივ უნდა მოხდეს, რადგანაც სამსახურის საიდუმლოებას ეხებაო“. ხალხს დარბაზი მიატოვებინეს.

კულიაბკოს ჩვენების ჩამორთმევამ საათნახევრამდე გასტანა.

ამის შემდეგ ხალხი კვლავ შეუშვეს დარბაზში. დამცველნი კვლავ შეეცადნენ საქმე გადადებულიყო, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

სასამართლო შეუდგა მოწმების გამოკითხვას. ყველაზე საგულისხმო გამოდგა საიდუმლო პოლიციის აგენტთა უფროსის **დემიდიუკის** ჩვენება იგი მომჩივანის მოწმეა. მოწმის ჩვენებით, რამდენიმე თვის წინად, სანამ კიევის დღესასწაულები დაიწყებოდა, დამცველმა პოლიციამ ფხიზელი მოქმედება დაიწყო. გახშირდა ჩხრეკა, დაპატიმრება, გადასახლება. სააგენტოს ახალ-ახალი ორგანიზაციები არსდებოდა. ჯაშუშები მოედვნენ მთელ გუბერნიას, საზღვარ გარედაც გაიგზავნა რამდენიმე რაზმი აგენტებისა. აუარებელი თანამშრომლები მოიწვიეს. ფული დიდ ძალი იხარჯებოდა.

დაცვის მოწმენი ამბობენ, რომ კულიაბკო ძლიერ უბრალოდ და სადად სცხოვრობდა.

ბრალმდებელი მოითხოვდა კულიაბკოს დასჯას, რადგანაც ბრალდებული იმ დიდ მნიშვნელოვან დროს, შესაფერად ვერ ჰმოქმედებდა.

დამცველნი ამტკიცებდნენ, რომ კულიაბკოს მოქმედებაში არავითარი ბოროტი განზრახვა არ ყოფილაო. სასამართლომ კულიაბკო დამნაშავედ სცნო სახელმწიფო ფულის გაუფრთხილებლობაში და მიუსაჯა ერთი წლისა და ოთხი თვის ციხე.

პეტერბურგის ახალი მიტროპოლიტის პირველი განკარგულებანი.

12 ქრისტიშობისთვეს, პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორი ეპისკოპოზი გიორგი და აკადემიის პროფესორი წარსდგნენ პეტერბ. ახალ მიტროპოლიტის წინაშე. „რ. მ.“ სიტყვით მიტროპოლიტსა და რექტორ შორის შემდეგი ბაასი მომხდარა:

— ყველა სტუდენტი ესწრება დილის ლოცვას?

— არა.

— ლექციებს ყველა ესწრობა?

— არა.

— წირვა-ლოცვაზე ყველა დაიარება?

— არა.

— ისე უნდა მოხერხდეს, — სთქვა მიტროპოლიტმა, რომ ყველა სტუდენტი დილის ლოცვისთვის ადგეს ხოლმე, ყველა ლექციები მოისმინოს და წირვა-ლოცვაზე იაროსო.

აქამდის სასულიერო აკადემიის სტუდენტები ამ მხრივ თავისუფალნი იყვნენ. მეორე დღეს დილით რექტორმა დაიარა საძილო ოთახი და სტუდენტები დილის ლოცვისთვის გააღვიძა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი დღეს, 20 ქრისტიშობისთვეს ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს ვალ. გუნიას საბენეფისოდ შექსპირის ტრაგედიას „ლირს“. ლირის როლში პირველად გამოვა დღეს მობენეფისე. წარმოდგენისათვის შემზადებულია ახალი ტანისამოსი, დახატულია ახლად დეკორაციები. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ დასის საუკეთესო ძალები.

წერილი რედ. მიმართ

ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ კნ. ეკ. ლ. **ჯანდიერისამ შეაგროვა** ფული. სია შემომწირველთა:

ინჟინერმა ლორენციმ 5 მან.; ზ. ი. ანდრონიკაშვილმა 3 მან., მღვდ. ახმეტელაშვილმა 1 მ. 50 კ., თითო მანეთი: ლაკერბაიამ, ვ. ვ. მელკოვნიკოვამ, თ. ლ. აფხაზმა, ნ. ზ. ჭავჭავაძემ, გ. ვაჩნაძემ, გ. რ. ვაჩნაძემ, კნ. ქეთ. აფხაზისამ, მ. რ. ვაჩნაძემ, დ. ზ. ვაჩნაძემ, ა. ვაჩნაძემ, დ. ვაჩნაძემ, ე. ზირახავამ, ნ. ზირახავამ, პ. ზ. ვაჩნაძემ; ათ-ათი შაური: კ. თარელიშვილმა, მ. ასაფეროვამ, ე. ტურიაშვილმა. სულ 25 მან.

ყველა ზემოხსენებულ შემომწირველთა და შემკრებელს ულრმეს მადლობას უძღვნის უფასო სასადილოს

გამგეობა.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ: „Закавказье“-ს, „კლდის“, „მერცხლი-ს“ და „მშაკი-ს“ რედაქციებს, რომელნიც მიმდინარე წელში უფასოდ უგზავნიან დიდუბის ბიბლიოთეკას თავიანთ გამოცემებს აგრეთვე უგულითადეს მადლობას მოვახსენებთ: ქ.ქ. განდეგილს, მარიამ გელეიშვილისას, ზ.ზ. დავით კარიჭაშვილს, პ. მირიანაშვილს, დ. კილოსანიძეს, პ. გელეიშვილს, კ. კანდელაკს, ტომაშევსკის და თეთმალდტიანცს, რომელთაც ძვირფასი წიგნები შემოსწირეს ბიბლიოთეკას.

დიდუბის ბიბლიოთეკის გამგეობა.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. ქურდულაშვილი.

განცხადებანი

№ 4711
სქელი პუდრი
კანს ხავერდისავით ანაზებს და ალამაზებს
ფერდ. მიულჰენსი
კოლოფი 30 კაპ. ✦ პარფიუმერია № 4.11
მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.

4711 Fettpuder

Метцль 309266 309286
1434.

დიდი ხნის გამოცდილი მკერავი ქალი
ვღებულობ საკერავს
ქალებისა და ბავშვების კაბებს.
საქმეს ვაბარებ სუფთად, საჩქაროდ, ძრიელ ნაკლებ ფასად. აგრეთვე ვიყვან შეგირდებს, ვასწავლი მორიგების დავვარად. მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა № 12 ხომასურიძე. 1603.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. [illegible]

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფილდოსის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე [illegible] იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიო საქმისათვის. ძიძებსა და [illegible] ახლეებს ყოველ დღე, დილის 1—2 ს. [illegible] მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი შ. გ. მიქირტუმოვი. 2037.

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.

19 თე"ერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 370 დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ:

	ექიმების მიერ:	დილით:	
შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილ.	სპეკტიორი გ. მ. . . .	8½—9½	ს.
	გაზაზოვი ა. ა. . . .	10—11	ს.
	იაშვილი ა. ო. . . .	11—12	ს.
	აბაკელია ი. ქ. . . .	12—1	ს.
	ლოლობერიძე გ. მ. . . .	12½—1½	ს.
სადოსტაქრო სნეულებანი:	გრიგორიანი ა. ი. . . .	11—12	ს.
	მელკონიანი გ. ა. . . .	12—1	ს.
	ჯაში ი. ი. . . .	9½—10½	ს.
საშარდენის და გვამის სადოსტ.-ქირ. სნეულებ.	გრიგორიანი ა. ი. . . .	11—12	ს.
სნეულებ. საშვილ. და საბებ. ბით.	ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. გ.	11—12	ს.
	ლოლობერიძე . . .	12½—1½	ს.
სნეულებ. ყურ., ყელის და ცხვ.	შტეიხერი მ. ა. . . .	12 12½	ს.
[illegible] და კბილის სნეულებ.	შაპელნიკოვი გ. ი. . . .	1½—2½	ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში. ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციე ი მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“**, ყვავილი აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი აფასურით 1581

კავკასიის მეფუტკრეობის საზოგადოება

აცხადებს, რომ ქრისტიშობისთვის 20-დან 31-დე გაიხსნება

ორი ბაზარი თაფლისა.

1 მოთავსდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში.

2 ვერის დაღმართზე ანანოვის სახლში.

შესვლა უფასოა. 877.

☛ სორაპანის გამოცემა ☚

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად **„კედლის კალენდარი 1913 წ.“, შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.** კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათებით, შეკრულია თუნუქით, კარდონი დაბეჭდილია 4 ფერი საღებავით. იყიდება ყველგან. ფასი 40 კაპ.—დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ აგრეთვე **„სახალხო კალენდარი“ 1913 წ., შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.** კალენდარი დასურათებულია აუარებელი სურათებით. ფასი 20 კ.—გამყიდველებს %% დაეთმობათ. ადრესი: ტფილისი. სტამბა „სორაპანი“. 849



1553

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კეტოვ.) **ხიზილალა,**

თევზის მრეწველნი

ძმ. ძებველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის

სელიოტკები,

და ყოველგვარი

კონსერვები.

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,**

და ყოველგვარი

✦ შავი ხიზილალა ✦

იმერული შამპანიური
ღვინოები,
ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,
„კოლხიდა“ და „თამარა“

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:
1) ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის სცგასტრონომიო მაღაზიაში და
2) მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.

ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. 1660

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აზრაპიანის
საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 იანვრიდან, 1913 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები**, სტენოგრაფია და რემინგტონი. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ-დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1644. 9)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნ.—6½ საათ. კახეთის 1. № 6.

ეკიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბველტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ბველტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის

1078 დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**

ქირავდება სახლი
1, 2 და 3 ოთახიანი

ავეჯით და უავეჯოთ, სახელმწიფო ბანკის გასწვრივ, ბარონის ქუჩა № 14. 874

ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. 1231

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.

მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები.



683.

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

მაღაზია ოქროსი, ვერცხლისა, მელხიორისა და ოპტიურ ნივთიერებისა—საათებისა

ა. ნ. გოლდშტეინისა.

გირჩევთ შეიძინოთ მეტის მეტად იაფფასად ყოველგვარი საათები, ოქროსი, ვერცხლისა და მელხიორის ნივთები. ვასრულებთ საათებისა და ყოველგვარი ოქროს ნივთეულის დამზადება და შეკეთებას, აგრეთვე მონოგრამ. და წარწერების გაკეთებას. [illegible]



მოითხოვეთ სწორი და მკვიდრი საათი!
სხვა იაფ ფასიან საათებს ნუ გამოუდგებით!

კარგსაათს ყოველთვის შერჩება თავისი ღირებულება.

✦ **პარიზის უკანასკნელი ახალი ამბავი!** ✦

საათი „ხრონომეტრი“-ს სისტემისა 5 მ. 25 კ.

100 მან. თიან ოქროს საათის მაგიერი, გირჩევთ „**ხრონომეტრს**“, რომელიც მოყვანილობითა და მოხდენილობით ოქროსას არ ჩამოუვარდება. „ხრონომეტრის“ ლითონის კარგი ღირსებისა და მის გამძლეობაზე 10 წლის თავდებობას ვკისრულობთ, რადგანაც ელექტრონის საშუალებით მისი სახურავი დაფარულია 14% კარანტ. ოქროს სქელ სევადით. ეს საათი ნამდვილი შვეიცარიულია ახალი ოქროსი, კაცებისა თუ ქალებისა ხუფიანი სამ სქელ სახურავიანი, იმართება თავის ბულით 40 საათში ერთხელ, მუშაობს წკრიალით. 15 ქვიანი, პრტყელი, როგორც სურათზე მოსჩანს, ძალიან გავრცელებულია და მთელ ევროპაში მოდებული. საათის ფასი 5 მ. 25 კ. 2 ცალი—10 მ., 4 ცალი—19 მ. 50 კ. ფასები ნაკლები დავადეთ, რადგანაც გვინდა ყველას შევაძლებინოთ მისი შეძენა. გასაგზავნი, ბაჟიანად,—40 კ., (ციმბირში—75 კ.) ყოველ საათს უფასოდ ვაყოლებთ მოხდენილ ნამდვილ ახალ ოქროს ძეწკვს სურვილისამებრ ორკეცს, ბრელოკით და ზამშის საათის ბუდით. საათს წუთი-წუთზე შესწორებულს ვგზავნით 6 წ. თავდებ., ფასდადებ. და უბეოდ.

Берлинъ 35 I. STRUMFELD
Berlin Klosterstr. № 42.

მისამართი შეიძლება ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ ღია წერილს ან კონვერტს. საათის დაბარება ყველა ენაზე შეიძლება. დახურ. წერილს 10 კ. მარკა სჭირდება, ღია წერილს კი 4 კ.

მეტცლ. № 61483. 1579

იაფი ვაჭრობა მიხეილის პროსპექტზე დოროფეოვის გასწვრივ

ევროპიული მაღაზია

ლამფებისა და ჭურჭლის დეპო

პატივცემულ საზოგადოებას ვაუწყებ, რომ დღესასწაულებისა გამო დანიშნულია მეტისმეტად იაფი ვაჭრობა **ყოველ მეტოქეობის გარეშე,** რაზედაც გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ. **გვაქვს აუარებელი მშვენიერი საქონელი:**

1. ლამფები ჩამოსაკიდი, სასუფრე, კედლისა, საწერ მაგიდისა და სხვა. 2. ჭურჭელი ფაიფურისა, ქაშანურისა, ბროლისა, ჭიქისა, ემალიანი, მელხიორისა, სპილენძისა, ნიკელისა და ალიუმინისა. 3. სამზარეულოს მოწყობილება: დანები, ჩანგლები, კეროსინკები, ფეჩები ოთახის გასათბობად ნავთით, უსუნო და უმჭვარტლო—„ფენიქსი“—75 მილ. ნიკ.—ღირს 11 მ. ლაქიანი—10 მ. 75 კ., 30 მილ. ნიკ.—7 მ. ლაქიანი 6 მ. 70 კ. 4. სამოვრები სხვა და სხვა ფირმისა და მოყვანილობისსა, როგორც ყვითელი ისე ნიკელისა და ნავთით სადუღებელი. 5. მოხდენილი ნივთები საჩუქრებისათვის. 6. აგრეთვე მეტად იაფ ფასად გვემოვება ნაირ-ნაირი სურათებიანი საუფრე სერვიზი, ყავის მოწყობილება და ინგლისური ჭურჭლეულობა. **აქვე იყიდება ეკონომიური ლამფები—„სირიუს“.**

866 სრულის პატივისცემით **ა. ს. ეგანოვი.**

პარიზული მაღაზია
ძმ. საფარიანცისა და ტერ-საკოვისა

საგანგებოდ **დღესასწაულებისათვის**

განსაკუთრებულის შეკვეთით **დამზადებულია**

საკუთარ სამკერვალოში უკანასკნელი ახალ-ახალი

შეკერილი ტანისამოსი,

მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვებისათვის, მეტის-მეტად

ხელმისაწვდომ ფასად.

მაღაზიასთან გვაქვს **სამაგალითო სახელოსნო** შეკვეთის მისაღებად.

ფასები შეუვაჭრებლად.

გოლოვინის პროსპ. სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

ტელეფონი № 258.

1525

TRADE MARK

ბალკანეთის
ამბების ბამო

გირჩევთ შეიძინოთ რჩეული და უფრო გავრცელებული ფირფიტები

ბულგარელებისა, სერბიელებისა, ჩერნოგორელებისა და ბერძენთა

ჰანგებისა, საუკეთესო სამხედრო ორკესტრის მიერ შესრულებული

☛ **გრამოფონების ფირფიტებზე** ☚

შუმი მარიცა...

ბერძნული,

სერბიული და

ჩერნოგორიული

ჰიმნი...

ОБЩЕСТВО ГРАММОФОНЪ СЪ ОГР. ОТВ.

TRADE MARK "GRAMMOPHON"

კავკასიისა და კასპიის მხარისათვის განყოფილება

ტფილისი.

გოლოვინის პროსპ. № 9.

სამხედრო ტაძრის პირდაპირ.

1512.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.